

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება

სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1 იანვარი 2010 – 31 დეკემბერი 2010

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“

2010 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ

1. დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისას“ მიერ ჩატარებული იქნა სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“-ს ფინანსური ანგარიშების აუდიტი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავდა ბალანსს 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგების ანგარიშს, კაპიტალის ცვლილებების უწყისს, ფულადი ნაკადების უწყისს საანგარიშო პერიოდისათვის, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და განმარტებებს.

2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანგარიშგების მომზადებაზე, სისრულეზე და სინამდვილეზე პასუხისმგებლობა აკისრია საწარმოს ხელმძღვანელობას. პასუხისმგებლობა მოიცავს: შესაბამისი შიდა კონტროლის სისტემის დამყარებას და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და სამართლიან წარდგენას, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ცდომილებებს გამოწვეულს შეცდომით ან თაღლითობით; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის ჩამოყალიბებას და გამოყენებას; და სააღრიცხვო ჩანაწერების ფორმირებას, რომლებიც გონივრული იქნება შექმნილ სიტუაციაში.

3. ჩვენს პასუხისმგებლობას შეადგენს ის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ აზრი მოცემული ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სტანდარტების შესაბამისად აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში. აუდიტის პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორების მოსაზრებებზე და ხდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას მატერიალური შეცდომების ან თაღლითობის შედეგად ანგარიშგების დამახინჯების რისკი. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის და სააღრიცხვო ჩანაწერების სისწორის შეფასებას, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად

4. ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებით ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს 2010 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ბოლოსათვის სააქციო საზოგადოება „სტანდარტ დაზღვევა საქართველოს“ ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას სააღრიცხვო წლის განმავლობაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისას“ გენერალური დირექტორი,  
სერტიფიცირებული აუდიტორი

გიორგი ცერცვაძე

13.05.2011 წ.

**სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“**  
 ბალანსი (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება)  
 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2010 წელი	2009 წელი	შენიშვნა
<b>აქტივები</b>			
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
ფულადი სახსრები	1 577 830	1 363 848	3
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	1 121 478	459 976	4
სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან	363 827	94 568	5
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13 155		6
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები	293 633	288 696	7
დეპოზიტებზე დარიცხვი პროცენტები	4 675	3 878	8
სხვა მიმდინარე აქტივები	243 924	858	9
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	205 740	137 102	10
არამატერიალური აქტივები	7 970	2 403	
<b>აქტივები სულ</b>	<b>3 832 231</b>	<b>2 351 327</b>	
<b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>			
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ	282 118	5 991	11
5% რეზერვი (IBNR)	79 655	10 464	12
ვალდებულებები გამამზღვეველთა მიმართ	695 955	342 253	
მოკლევადიანი სესხები		60 000	
გადასახდელი დარიცხული პროცენტები		326	
მომავალი პერიოდის სადაზღვევო მოგება	922 478	435 512	13
მომავალი პერიოდის მოგება გადაზღვევის საკომისიოდან	61 832	47 598	14
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	71 277	35 643	15
<b>ვალდებულებები სულ</b>	<b>2 113 314</b>	<b>937 786</b>	
სააქციო კაპიტალი	2 624 000	1 600 000	16
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	(905 083)	(186 459)	
<b>კაპიტალი სულ</b>	<b>1 718 917</b>	<b>1 413 541</b>	
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>3 832 231</b>	<b>2 351 327</b>	

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_ ფ. გულიევი  
 ბუღალტერი \_\_\_\_\_ შ. ჯოჯუა

**სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2010 წლის 1 იანვრიდან – 2010 წლის 31 დეკემბრამდე

	2010 წელი	2009 წელი	შენიშვნა
სადაზღვევო პოლისების გაყიდვა	1 985 182	654 361	17
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	(486 966)	(427 367)	18
გადაზღვევის ხარჯები	(387 114)	(164 538)	19
ზარალის ანაზღაურების ხარჯები	(1 047 859)	(49 757)	20
გადამზღვევის წილი ანაზღაურებულ ზარალში	157 501	21 969	
5% რეზერვი (IBNR)	(68 982)	(10 675)	
<b>მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან</b>	<b>151 762</b>	<b>23 993</b>	
აგენტების საკომისიო	(81 658)	(3 297)	
შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან	95 538	31 857	
სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან	48 257	677	21
<b>სულ მოგება სადაზღვევო საქმიანობიდან</b>	<b>213 899</b>	<b>53 231</b>	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 035 194)	(408 571)	22
<b>სულ საოპერაიო ხარჯები</b>	<b>(1 035 194)</b>	<b>(408 571)</b>	
ფინანსური შემოსავალი	113 585	114 524	
ფინანსური ხარჯები	(1 278)	-326	23
უარყოფითი საკურსო სხვაობა და სხვა შემოსავლები (ხარჯები)	(9 636)	37 843	
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>(718 624)</b>	<b>(203 300)</b>	
მოგების გადასახადი		-	
<b>პერიოდის მოგება (ზარალი)</b>	<b>(718 624)</b>	<b>(203 300)</b>	

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_

ფ. გულიევი

ბუღალტერი \_\_\_\_\_

შ. ჯოჯუა

სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“  
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება  
 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვი და დაფინანსება	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ
<b>სააქციო კაპიტალი 01.01.2009 მდგომარეობით</b>	1 600 000		16 841	1 616 841
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)				
ქონების გადაფასება				
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(203 300)	(203 300)
გაცხადებული დივიდენდები				
სხვა ცვლილებების საკუთარ კაპიტალში				
<b>სააქციო კაპიტალი 01.01.2010 მდგომარეობით</b>	<b>1 600 000</b>	-	<b>(186 459)</b>	<b>1 413 541</b>
კაპიტალის ემისია	1 024 000			
ქონების გადაფასება				
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(718 624)	(718 624)
გაცხადებული დივიდენდები				
სხვა ცვლილებების საკუთარ კაპიტალში				-
<b>სააქციო კაპიტალი 01.01.2011 მდგომარეობით</b>	<b>2 624 000</b>	-	<b>(905 083)</b>	<b>1 718 917</b>

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_ ფ. გულიევი  
 ბუღალტერი \_\_\_\_\_ შ. ჯოჯუა

**სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“**  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2010 წლის 1 იანვრიდან – 2010 წლის 31 დეკემბრამდე

	2010 წელი	2009 წელი
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
ფულადი სახსრები გაყიდული სადაზღვევო პოლისებიდან	1 352 047.64	161 261.28
ფულადი სახსრები გადაზღვევის საკომისიოდან		6 815.38
ფულადი სახსრები რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან	37 061.93	673.56
გადახდილი გადაზღვევა	(43 737.50)	(63 232.35)
გადახდილი საგადასახადო ზარალი	(771 523.19)	(40 787.49)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(463 799.33)	(249 979.82)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	(160 333.35)	(43 971.84)
გადახდილი მოგების გადასახადი (პროცენტებიდან)	(2 838.15)	(4 652.12)
გადახდილი ჯარიმები	(74 000.00)	
გადახდილი საბანკო ხარჯები	(11 920.17)	(2 956.88)
გადახდილი იჯარა	(125 886.22)	(105 605.76)
გადახდილი კონსულტანტებისა და აუდიტორების მომსახურება	(100 757.47)	(1 700.00)
გადახდილი სარეკლამო ხარჯები		(3 316.00)
გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები	(20 896.67)	(5 272.32)
გადახდილი საკანცელარიო ხარჯები	(51 742.13)	(2 636.85)
თანამშრომლებზე გაცემული საქვეანგარიშო თანხები	(168 124.96)	
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(14 532.14)	(1 462.56)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(30 713.28)	(5 304.06)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი</b>	<b>(651 694.99)</b>	<b>(362 127.83)</b>
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შექმნა	(112 459.39)	(57 384.00)
ძირითადი არამატერიალური აქტივების შექმნა	(6 319.97)	(1 017.00)
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები	116 565.69	111 255.47
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი</b>	<b>(2 213.67)</b>	<b>52 854.47</b>
<b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	972 032.57	
მიღებული მოკლევადიანი სესხები		60 000.00
მიღებული მოკლევადიანი დაფარვა	(60 000.00)	
გადახდილი პროცენტები	(1 603.34)	
<b>ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი</b>	<b>910 429.23</b>	<b>60 000.00</b>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება)	(42 537.93)	33 422.64
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ნაზრდი</b>	<b>213 982.64</b>	<b>(215 850.72)</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b>	<b>1 363 847.53</b>	<b>1 579 698.25</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>1 577 830.17</b>	<b>1 363 847.53</b>

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_  
 ბუღალტერი \_\_\_\_\_

ფ. გულიევი  
 შ. ჯოჯუა

## **სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2010 წლის 1 იანვრიდან – 2010 წლის 31 დეკემბრამდე

---

### **1. ზოგადი ინფორმაცია**

სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“ (შემდგომში – კომპანია) დარეგისტრირებულია 2008 წლის 12 დეკემბერს თბილისის ძველი თბილისის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0105, ფურცელადის ქ. №6, საიდენტიფიკაციო №204540274. კომპანია არ არის დღგ-ს გადამხდელი, საგადასახადო აღრიცხვაზე იმყოფება ძველი თბილისის საადასახადო ინსპექციაში.

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2 624 000 ლარს. კომპანიის დამფუძნებლები არიან სს „Стандарт Страхованию“ ბაქო, აზერბაიჯანი 90%, ფიზიკური პირები ზურაბ გუმბერიძე 5%, და კამალ იბრაგიმოვი 5%.

კომპანიას არ ყავს შვილობილი კომპანიები. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო ფუად გულიევი. ანგარიშგების პერიოდში კომპანიის დირექტორი შეიცვალა ერთხელ. 2011 წლის 14 თებერვლამდე კომპანიის დირექტორი იყო ზურაბ გუმბერიძე.

კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს დაზღვევა და გადაზღვევა. კომპანიას აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზია საერთო დაზღვევასა და გადაზღვევაში, ასევე სიცოცხლის დაზღვევის და გადაზღვევის ლიცენზია.

### **2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

#### **სადაზღვევო შემოსავლების აღიარება**

კომპანია გამოიძუშავებს თავის შემოსავალს სადაზღვევო პოლისების გაყიდვით. კომპანია პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს, დღის სიზუსტით, აღიარებს გამოიძუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია პოლისის მოქმედება. პოლისის გაცემისთანავე კომპანია სადაზღვევო პრემიის სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდგომ გამოიძუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვის კორექტირების მეშვეობით ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეების სიზუსტით).

#### **უცხოური ვალუტის გადანაგარიშება**

ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა, რომელიც შესულია ჯგუფის ყველა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, ფასდება პირველადი ეკონომიკურ გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც მოღვაწეობს კომპანია („ფუნქციონალური ვალუტა“).

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადათვლა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის განხორციელების დღეს მოქმედი კურსის გამოყენებით. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, ისევე როგორც უცხოურ ვალუტაში გამოსახული

ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოსათვის არსებული კურსით გადათვლისასა წარმოქმნილი მოგება და ზარალი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი დროებით გადატანილია კაპიტალის ანგარიშზე.

ლარის კურსი ძირითად უცხოურ ვალუტებთან:

31.12.2009 - USD 1 = 1.6858 GEL      EUR 1 = 2.4195 GEL

31.12.2010 - USD 1 = 1.7728 GEL      EUR 1 = 2.35 GEL

### **ძირითადი საშუალებები**

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ისტორიული (პირველადი) ღირებულებით ცვეთის გათვალისწინებით. პირველადი ღირებულება შეიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ძირითადი საშუალებების შექმნასთან. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარიმართება კომპანიისაკენ და აქტივის ღირებულების გამოთვლა შესაძლებელია. რემონტთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება შესაბამისი პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამომწვევებია ხდება მათი პირველადი ან გადაფასებული ღირებულების სალიკვიდაციო ღირებულებამდე თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, კერძოდ:

- იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების რემონტი 5 წელი
- ტრანსპორტი 5 წელი
- ოფისის აჭურვილობა 8-10 წელი
- კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები 4-5 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-5 წელი

### **არამატერიალური აქტივები**

#### **ლიცენზიები**

ლიცენზიები ასახულია თავდაპირველი ღირებულებით. ლიცენზიებს აქვთ შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა და აღირიცხებიან თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. ამორტიზაციის გამომწვევებია ხდება ღირებულების თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (10-15 წელი)

#### **კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა**

შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეზენასა და მონტაჟზე გაწეული დანახარჯების მიხედვით. ამ დანახარჯების ამორტიზაცია ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (10-15 წელი). კომპიუტერული პროგრამების შემუშავებასა და მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯები გათვალისწინებულია ხარჯებში მათი წარმოქმნის მიხედვით. დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული ცალკე აღებული

ინდივიდუალური პროგრამული პროდუქტის შემუშავებასთან (სამედიცინო დაზღვევის პროგრამა „ესკულაპი“), რომელსაც კომპანია გააკონტროლებს და რომლის გამოყენებიდანაც, სავარაუდოდ, ერთ წელზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მიღებული იქნება შემოსავალი, რომელიც გადააჭარბებს თვითღირებულებას, აღირიცხება არამატერიალური აქტივების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დანახარჯები შეიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას და გადანაწილებადი ზედნაღები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დანახარჯები, რომლებიც აღიარებულია აქტივებად, ამორტიზირდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (არაუმეტეს 10 წლისა)

**დებიტორული დავალიანება სადაზღვევო საქმიანობიდან**

დებიტორული დავალიანება სადაზღვევო საქმიანობიდან წარმოადგენს ფინანსურ აქტივს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით. ის წარმოიქმნება კომპანიის მიერ უშუალოდ დებიტორზე სადაზღვევო მომსახურების. ის მიეკუთვნება მიმდინარე აქტივებს ერთ წელზე ხანგრძლივი დაფარვის ვადიანი აქტივების გამოკლებით (ასეთი აქტივები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები). დებიტორული დავალიანება სადაზღვევო საქმიანობიდან ბალანსში აისახება მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან მუხლში (შენიშვნა 4).

**ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ**

ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ ტავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულების მიხედვით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

**მომავალი პერიოდის სადაზღვევო მოგება**

კომპანია ახდენს სადაზღვევო პოლისებიდან/კონტრაქტებიდან მოგების გადავადებას და აღრიცხავს მას ბალანსის მუხლში „მომავალი პერიოდის სადაზღვევო მოგება“.

**3. ფულადი სახსრები**

**ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	1730	35447
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	71855	21871
დეპოზიტები	1504245	1306530
	1 577 830	1 363 848

**4. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე მოთხოვნებს სადაზღვევო საქმიანობიდან შემდეგი სტრუქტურა ქონდა:

2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
---------------------	---------------------

დებიტორული დავალიანება (დაზღვევა კასკო)	494 194	282485
დებიტორული დავალიანება (ქონების დაქვლევა)		149
დებიტორული დავალიანება (სამედიცინო დაზღვევა)	549 066	
დებიტორული დავალიანება (სხვა დაზღვევა)	78 219	177342
	<b>1 121 478</b>	<b>459 975</b>

## 5. სხვა მოთხოვნები გადაზღვრიდან

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
მოთხოვნები გადამზღვევის მიმართ ზარალის ანაზღაურების ნაწილში	179 469,00	21 969,00
დებიტორული დავალიანება გადაზღვევის საკომისიოდან	184 357,62	72 598,81
	<b>363 827</b>	<b>94 568</b>

## 6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები უტოლდებოდა 13155 ლარს, და შეადგენდა მანქანებს, რომლებიც გადაეცა კომპანიას სადაზღვევო შემთხვევების დადგომის შედეგად და წარმოადგენდა გადარჩენილ ქონებას.

## 7. მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (დაზღვევა კასკო)	166 734	85036
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (ქონების დაქვლევა)	1 983	
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (სხვა დაზღვევა)	124 915	203660
	<b>293 632</b>	<b>288 696</b>

## 8. დეპოზიტებზე ღარიცხული პროცენტები

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
დეპოზიტებზე ღარიცხული პროცენტები ბანკ „რესპუბლიკაში“	184	3878
დეპოზიტებზე ღარიცხული პროცენტები „კორ სტანდარტ“ ბანკში	4259	
დეპოზიტებზე ღარიცხული პროცენტები „თი ბი სი“ ბანკში	233	
	<b>4 675</b>	<b>3 878</b>

## 9. სხვა მიმდინარე აქტივები

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
კრედიტორების ავანსები	25 000	
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირებისადმი	167 695	
მოთხოვნები აქციონერებისადმი	51 200	
სხვა მიმდინარე აქტივები	29	858
	<b>243 924</b>	<b>858</b>

## 10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების რემონტი (ლარი)	ტრანსპორტი (ლარი)	ოფისის აჭურვები (ლარი)	კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები (ლარი)	სხვა ძირითადი საშუალებები (ლარი)	არამატ. აქტივები (ლარი)	სულ (ლარი)
<b>ისტორიული ღირებულება</b>							
ნაშთი 01.01.2010	56 013	46 354	26 875	42 309	6 370	2 517	180 438
ამატება			10 340	73 932	31 382	6 320	121 974
<b>ნაშთი 01.01.2011</b>	<b>56012,74</b>	<b>46354</b>	<b>37215</b>	<b>116240</b>	<b>37751,94</b>	<b>8837</b>	<b>302412</b>
<b>ცვეთა და ამორტიზაცია</b>							
ნაშთი 01.01.2010	11781	17436	2759	7697	1145	114	40932
ცვეთა და ამორტიზაცია	11203	12409	3487	18668	1249	752	47769
<b>ნაშთი 01.01.2011</b>	<b>22984</b>	<b>29845</b>	<b>6246</b>	<b>26366</b>	<b>2395</b>	<b>867</b>	<b>88701</b>

## 11. ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ შეადგენდა 282 118 ლარს. ეს თანხა ძირითადად მოიცავდა ვალდებულებებს სამედიცინო მომწოდებლების მიმართ.

## 12. 5% რეზერვი (IBNR)

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 5% რეზერვს შემდეგი სტრუქტურა ქონდა:

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
5% რეზერვი (IBNR)	695 955	342 253
	<b>695 955</b>	<b>342 253</b>

## 13. მომავალი პერიოდის სადაზღვევო მოგება

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
მომავალი მოგება (დაზღვევა კასკო)	312 495	231 811
მომავალი მოგება (ქონების დაქვევა)	4 355	39
მომავალი მოგება (სამედიცინო დაზღვევა)	440 331	
მომავალი მოგება (სხვა დაზღვევა)	165 297	203 662
	<b>922 478</b>	<b>435 512</b>

## 14. მომავალი პერიოდის მოგება გადაზღვევის საკომისიოდან

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
მომავალი მოგება გადაზღვევიდან (დაზღვევა კასკო)	46 686	23 810
მომავალი მოგება გადაზღვევიდან (ქონების დაქლევვა)	555	
მომავალი მოგება გადაზღვევიდან (სხვა დაზღვევა)	14 590	23 788
	<b>61 832</b>	<b>47 598</b>

## 15. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
კრედიტორები (სადაზღვევოს გარდა)	11 562	1 463
მოგების გადასახადი	2 896	2 896
საშემოსავლო გადასახადი	8 336,83	21 062,39
ქონების გადასახადი	3 423,41	2 482,33
სხვა გადასახადები და ჯარიმები	26 100,00	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	18 959,00	7 740,00
	<b>71 277</b>	<b>35 643</b>

## 16. სააქციო კაპიტალი

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2 624 000 ლარს. კომპანიის დამფუძნებლები არიან ლსს „Стандарт Страхованию“ ბაქო, აზერბაიჯანი 90%, ფიზიკური პირები ზურაბ გუმბერიძე 5%, და კამალ იბრაგიმოვი 5%.

## 17. სადაზღვევო პოლისების გაყიდვა

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
სადაზღვევო პოლისების გაყიდვა (დაზღვევა კასკო)	552,482	379750
სადაზღვევო პოლისების გაყიდვა (საბანკო გარანტიები)	3,018	
სადაზღვევო პოლისების გაყიდვა (ქონების დაქლევვა)	49,558	152
სადაზღვევო პოლისების გაყიდვა (სამედიცინო დაზღვევა)	1,298,913	
სადაზღვევო პოლისების გაყიდვა (სხვა დაზღვევა)	81,211	274460
	<b>1,985,182</b>	<b>654,362</b>

## 18. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (დაზღვევა კასკო)	81,700.72	231,842.05
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (ქონების დაქლევვა)	3,299.41	39.34
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (სამედიცინო დაზღვევა)	440,330.70	
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (სხვა დაზღვევა)	(38,364.71)	195,485.97
	<b>486,966</b>	<b>427,367</b>

## 19. გადაზღვევის ხარჯები

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
გადაზღვევის ხარჯები (დაზღვევა კასკო)	291983	85595
გადაზღვევის ხარჯები (ქონების დაქვევა)	16384	
გადაზღვევის ხარჯები (სამედიცინო დაზღვევა)		
გადაზღვევის ხარჯები (სხვა დაზღვევა)	78747	78943
	387,114	164,538

## 20. ზარალის ანაზღაურების ხარჯები

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (დაზღვევა კასკო)	312062	49757
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (ქონების დაქვევა)		
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (სამედიცინო დაზღვევა)	735797	
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (სხვა დაზღვევა)		
	1,047,859	49,757

## 21. სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან

კომპანიის სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან შეადგენდნენ 48 257 ლარს 2010 წლის მდგომარეობით და 677 ლარს 2009 წლის მდგომარეობით. სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა შემოსავლებს გადარჩენილი ქონებიდან, კერძოდ მანქანებიდან, რომლებიც გადმოვიდნენ კომპანიის მფლობელობაში სადაზღვევო შემთხვევების დადგომის შედეგად და რომელთა რეალიზაცია მოახდინა უშუალოდ კომპანიამ სადაზღვევო ზარალის ანაზღაურების მიზნით

## 22. სამართო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
ხელფასი	509665	239086
იჯარა	125886	105606
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	20897	5272
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	133541	1700
ცვეთა და ამორტიზაცია	47769	31936
შაგადასახადო ვარიმები	101866	1997
საბანკო ხარჯები	11935	2958
წარმომადგენლობითი ხარჯები	1212	137
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	82423	19879
	1,035,194	408,571

## 23. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსურ შემოსავალს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა შემოსავლები საქართველოს ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე ღარიცხული პროცენტები

	2010 წელი (ლარი)	2009 წელი (ლარი)
კორ სტანდარტ ბანკი	90,365	
ბანკი რესპუბლიკა	19,441	114524
თი ბი სი ბანკი	3,779	
	113,585	114,524

კომპანიის ფინანსურ ხარჯებს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა ხარჯები მოკლევადიან სესხზე 60000 ლარის ოდენობით, რომელიც კომპანიამ აიღო 2009 წლის 8 დეკემბერს ოთხო თვის ვადით და ვადაზე ადრე დაფარა 2010 წლის 20 თებერვალს.

#### 24. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.